

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სტრატეგიული პრიორიტეტები

2005 წელს ბოლონის დეკლარაციის ხელმოწერის შემდეგ, საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ვალდებული არიან, მოახდინონ ბოლონის პროცესის ძირითადი პრინციპების იმპლემენტაცია, რომელთაგან „სწავლა მთელი სიცოცხლის მანძილზე“ (LifeLongLearning), უწყვეტი განათლება (Continuing Education) ერთ-ერთი უმთავრესი და საერთო ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის ერთ-ერთი პირობაა და გულისხმობს პიროვნების ინტერესების შესატყვისი განათლების მიღების, მთელი ცხოვრების მანძილზე ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციების სრულყოფის, პიროვნული, სამოქალაქო და სოციალური განვითარების და შემდგომი დასაქმების პერსპექტივებს. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს სწავლების ხარისხის მაღალ დონეს სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების (მოდულები, საკრედიტო სისტემა და სხვ.) დანერგვისა და ავტორიზაციის/აკრედიტაციის პროცესისათვის თვითშეფასების მომზადების გზით“. ამავე კანონის 25-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის თანახმად, „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, აგრეთვე პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხარისხის სისტემატური შეფასების მიზნით იქმნება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური“. ზემოაღნიშნული განსაზღვრავს ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სტრატეგიულ პრიორიტეტებს:

- ბნსუ-ს მისიის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება-განხორციელება, რომლებიც უნდა ემსახურობოდეს კონკურენტუნარიანი მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას;
- საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და სასწავლო პროცესის წარმართვა;
- საქართველოს და საერთაშორისო საგანმანათლებლო და შრომის ბაზარზე საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის, დარგში არსებული თანამედროვე საჭიროებებისა და დამსაქმებლების მოთხოვნების დადგენის მიზნით საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბების, პროგრამის შინაარსის სრულყოფის და პროგრამის განვითარების პროცესებში დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლების, აკადემიური პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების) ჩართვა; მათი მოსაზრებების შესწავლის (მათ შორის, შეხვედრების, განხილვების, ანონიმური გამოკითხვების მეშვეობით) და ანალოზის შედეგების, საქართველოს საგანმანათლებლის სფეროში მოქმედი და საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების გათვალისწინების და საგანმანათლებლო პროგრამებში შესაბამისი ცვლილებების შეტანის მიზნით შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;
- განათლების ხარისხის უზრუნველყოფის, გაუმჯობესებისა და განვითარების ხელშეწყობა და კვლევას, სწავლებასა და ინოვაციებს შორის კავშირის გაძლიერება;
- სტუდენტებში სწავლის მიმართ სათანადო დამოკიდებულების ჩამოყალიბება;
- სტუდენტებისათვის მოქნილი და შემოქმედებითი სასწავლო გარემოს შექმნა;
- სტუდენტზე ორიენტირებული საგანმანათლებლო სივრცის შექმნა პედაგოგიური და ორგანიზაციული ასპექტების შერწყმის შედეგად;
- სწავლის პროცესში სტუდენტების პიროვნული განვითარების, მოქალაქეობრივი ღირებულებების და ა. შ. განვითარების ხელშეწყობა;
- საგანმანათლებლო პროგრამებით სწავლისას სტუდენტების ისეთი კომპეტენციების მიღწევის ხელშეწყობა, რომლებიც უზრუნველყოფენ პროფესიულ საქმიანობაში კურსდამთავრებულთა შესაძლებლობების სრული რეალიზაციისა და წარმატებული კარიერული წინსვლის შესაძლებლობას;
- შიდა და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში და შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი, თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადება;
- „სწავლა მთელი სიცოცხლის მანძილზე“ (LifeLongLearning) კონცეფციის შესაბამისად პიროვნების ინტერესების შესატყვისი განათლების მიღების, მთელი ცხოვრების მანძილზე ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციების სრულყოფის, პიროვნული, სამოქალაქო და სოციალური განვითარების მოტივაციის ჩამოყალიბება და ხელშეწყობა;
- უწყვეტი განათლების (Continuing Education) კონცეფციის თანახმად კურსდამთავრებულებში საკუთარი კომპეტენციების მუდმივი სრულყოფის, ინოვაციების გაზიარების და სწავლის შემდგომი გაგრძელების მოტივაციის ჩამოყალიბება;
- ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე თანამშრომლობის ხელშეწყობა მიმზიდველი და რელევანტური საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების მიზნით;
- ბოლონის პროცესის მიერ შემოთავაზებული საშუალებების და მექანიზმების სრულფასოვანი გამოყენების შედეგად ბნსუ-ს საერთაშორისო თანამშრომლობისა და ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან ინტეგრაციის ხელშეწყობა.